

ტრენინგი ზვარეს თემში

31.10.2021 - 01.11.2021

ტრენინგის შესახებ

ტრენინგი განკუთვნილია ქედის მუნიციპალიტეტის ზვარეს თემის სოფლებში (ზვარე, მესოფელი) არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგი მოიცავს სოფლად არსებული საოჯახო სასტუმროს და კვების ობიექტის მართვის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ტრენინგზე დასწრებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა.

შინაარსი

ტრენინგის თემატიკა:

თემა 1: განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და საერთაშორისო სტანდარტი.
- ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სტუმრის მიღების პროცედურები. ღამისთევა.
- დალაგების თავისებურებები.
- Covid 19-ის შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- სერვისების კალკულაცია.
- ანგარიშსწორების საკითხები.

თემა 2 - სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში და მათი სწორად სერვირება :

- სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში (საუმზე, სადილი, ვახშამი)
- ადგილობრივი კერძების უპირატესობა
- სერვირების სპეციფიკა
- კვების კალკულაცია